

**უმაღლესი განათლების მინისტრის
სივრცის ფორმირება**

**ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების სალამანკის შეხვედრის მიმართვა**

2001 წლის 29-30 მარტი

2001 წლის 29-30 მარტს ევროპის 300-ზე მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი შეიკრიბა სალამანკაში, რათა მოემზადებინათ თავიანთი ინიციატივა ბოლონის პროცესში გაერთიანებული ქვეყნების უმაღლესი განათლების მინისტრების პრადის შეხვედრისათვის. ისინი შეთანხმდნენ შემდეგ მიზნებზე, პრინციპებსა და პრიორიტეტებზე:

სამომავლო გეგმები

ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები კვლავ ადასტურებენ ბოლონის დეკლარაციის პრინციპებისადმი მხარდაჭერას და ვალდებულებას უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის (ათწლეულის ბოლოსათვის) შექმნასთან დაკავშირებით. ისინი სალამანკაში ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) შექმნას განიხილავენ, როგორც სიმბოლური და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე მოვლენას, რომელიც დაეხმარება მათ უფრო ეფექტიანად მიაწვდინონ ხმა მთავრობებსა და საზოგადოებას და ამით იზრუნონ უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად.

1. პრინციპები

ავტონომია ანგარიშვალდებულებით

პროგრესი მოითხოვს, რომ ევროპის უნივერსიტეტები აღიჭურვონ უფლებამოსილებით იმოქმედონ ანგარიშვალდებულ ავტონომიის პრინციპით. ისინი, როგორც ავტონომიური და პასუხისმგებელი იურიდიული პირები, საგანმანათლებლო და სოციალური ერთეულები, ადასტურებენ თავიანთ ერთგულებას 1988 წლის უნივერსიტეტების დიდი ქარტიის (Magna Charta Universitatum) პრინციპებისადმი, განსაკუთრებით კი აკადემიური თავისუფლებისადმი. ამგვარად, უნივერსიტეტებს უნდა შეეძლოთ თავიანთი სტრატეგიის ჩამოყალიბება, სწავლებასა და კვლევებში პრიორიტეტების შერჩევა, თავისი რესურსების განაწილება, კურიკულუმის (საგანმანათლებლო პროგრამის) შემუშავება და პროფესორებისა და სტუდენტების მიღების საკუთარი კრიტერიუმების დაწესება. ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ღებულობენ გამოწვევას იმუშაონ კონკურენციის პირობებში როგორც საკუთარ ქვეყანაში, ისე ევროპასა და მთელ მსოფლიოში, ამისათვის კი მათ ესაჭიროებათ თავისუფლება მართვაში, ნაკლებად მკაცრი მარეგულირებელი ჩარჩოები და სათანადო დაფინანსება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი აღმოჩნდებიან კონკურენციისა და თანამშრომლობისათვის არახელსაყრელ პირობებში. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შესაქმნელად საჭირო დინამიკა ვერ იქნება მიღწეული ან მივიღებთ არათანაბარ კონკურენციას, თუ არ შეიცვლება დღევანდელი ზედმეტად მკაცრი ფინანსური და ადმინისტრაციული კონტროლი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე.

კონკურენცია ემსახურება უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. იგი არ გამორიცხავს თანამშრომლობას და არ დაიყვანება კომერციულ ცნებად. ევროპის ზოგიერთი ქვეყნის უნივერსიტეტს ჯერჯერობით უნარი არ შესწევს ჩაებას თანაბარ კონკურენციაში და ევროპის ფარგლებში "ინტელექტის გაღინების" მისთვის არასასურველი პრობლემის წინაშე იმყოფება.

განათლება როგორც საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე უნდა დაეფუძნოს ევროპის ტრადიციებს: განათლებას, როგორც საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას; როგორც დიპლომადელი, ასევე დიპლომის შემდგომი განათლების ხელმისაწვდომობას; მოქალაქეობასა და მოკლე და გრძელვადიან სოციალურ შესაბამისობას.

კვლევებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლება

რადგანაც კვლევა უმაღლესი განათლების მამოძრავებელი ძალაა, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ფორმირება უნდა ხდებოდეს კვლევის ევროპულ სივრცესთან ერთად.

მრავალფეროვნების ორგანიზება

ევროპის უმაღლესი განათლება ხასიათდება ენების, ეროვნული სისტემების, სასწავლებლების ტიპებისა და პროფილების, აგრეთვე, კურიკულუმების მრავალფეროვნებით. მისი მომავალი დამოკიდებულია მის შესაძლებლობაზე, მოახერხოს ამ ფასდაუდებელი მრავალფეროვნების ორგანიზება ისე, რომ მიაღწიოს დადებითი შედეგს და მოქნილობას, ნაცვლად სიმწიფეებისა და გაურკვევლობისა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებათა სურვილია დაახლოვდნენ და დაეყრდნონ თავსებადობას, კერძოდ, იმ საერთო მნიშვნელს, რომელიც მოცემულ საკითხზე ფართოდაა გაზიარებული, განსხვავებანი კი აღიქვან, როგორც ღირებულება და არა როგორც აუღიარებლობისა და უარყოფის მიზეზი. უნივერსიტეტებმა უნდა უზრუნველყონ ერთიანობის მინიმალური დონე, რათა თავიდან აიცილონ მიღწეული თავსებადობის რღვევის საშიშროება, გამოწვეული კრედიტების, აკადემიური ხარისხების კატეგორიებისა და სწავლების ხარისხის კრიტერიუმების განსაზღვრისა და დანერგვის გადამეტებული სიმრავლით.

2. ძირითადი საკითხები

ხარისხი როგორც ქვაკუთხედი

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე უნდა შეიქმნას ძირითადი აკადემიური ღირებულებების საფუძველზე, რათა დააკმაყოფილოს ყველა დაინტერესებული მხარის მოთხოვნები, ე.ი., მიაღწიოს სწავლების მაღალ ხარისხს. რა თქმა უნდა, ხარისხის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს დაწესებულების მიზნები, მისია და პროგრამები. ის მოითხოვს ბალანსის დაცვას ინოვაციებსა და ტრადიციებს, აკადემიურ დახელოვნებასა და სოციალურ/ეკონომიკურ მნიშვნელობას, შეთანხმებულ კურიკულუმებსა და სტუდენტთა არჩევანის თავისუფლებას შორის. იგი მოიცავს სწავლებასა და კვლევას, ისევე, როგორც, მართვასა და ადმინისტრირებას, სტუდენტებისადმი ყურადღებიან დამოკიდებულებასა და არასაგანმანათლებლო მომსახურებებით უზრუნველყოფას. არსებული ხარისხი არ არის საკმარისი და საჭიროებს ისეთ გარდაქმნებს, რომელიც დაიმსახურებს სტუდენტების, პარტნიორებისა და საზოგადოების აღიარებასა და ნდობას, როგორც სამშობლოში, ისე ევროპასა და მსოფლიოში.

უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ხარისხი არის ნდობის, რელევანტურობის, მობილობის, თავსებადობისა და მიმზიდველობის ძირითადი პირობა.

ნდობის მოპოვება

როგორც კვლევის შეფასებას, ასევე ხარისხის უზრუნველყოფას უმაღლეს განათლებაში აქვს საერთაშორისო განზომილება. ევროპაში ხარისხის უზრუნველყოფა არ შეიძლება ეფუძნებოდეს ერთი სააგენტოს მიერ შემოღებულ საერთო სტანდარტს. პერსპექტიული შეიძლება იყოს მხოლოდ იმგვარი მექანიზმების შემუშავება, რომელთა მეშვეობითაც ევროპის დონეზე ურთიერთმისაღები გახდება ხარისხის უზრუნველყოფის შედეგები, მათ შორის ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად განიხილება "აკრედიტაცია". აღნიშნული მექანიზმები უნდა ითვალისწინებდნენ ეროვნულ, ენობრივ და დისციპლინურ სხვაობებს და არ იწვევდნენ უნივერსიტეტების გადატვირთვას.

შესაბამისობა

ევროპის შრომის ბაზრთან შესაბამისობა სხვადასხვა გზით უნდა აისახოს კურიკულუმებში, იმისა და მიხედვით, თუ როდის მიიღწევა დამქირავებლისათვის საჭირო კომპეტენცია - პირველი თუ მეორე აკადემიური ხარისხის შემდეგ. დასაქმების შესაძლებლობა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პერსპექტივით შეიძლება მიღწეულ იქნეს იმ ღირებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც განსაზღვრავენ ხარისხიან განათლებას. იგი, აგრეთვე, მიიღწევა კურსის

პროფილებისა და მიდგომების მრავალფეროვნების, მოქნილი პროგრამების და მრავალმხრივი დაოსტატებისა და კომპეტენციის განვითარების მეშვეობით, ისეთის, როგორცაა კომუნიკაცია და ენები, ცოდნის მობილიზაცია, პრობლემის გადაწყვეტა, გუნდური მუშაობა.

მობილობა

სტუდენტების, პერსონალისა და კურსდამთავრებულების თავისუფალი გადაადგილება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მნიშვნელოვანი განზომილებაა. ევროპულ უნივერსიტეტებს სურთ ხელი შეუწყონ "პორიზონტალური" და "ვერტიკალური" ტიპის მობილობას და არ აღიქვამენ ვირტუალურ მობილობას ფიზიკური მობილობის შემცვლელად. სასწავლებლებს სურვილი აქვთ წარმატებულად და მოქნილად გამოიყენონ ცნობისა და მობილობის არსებული მექანიზმები, როგორცაა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა - ECTS, ლისაბონის კონვენცია, დიპლომის დანართი, საინფორმაციო ცენტრების ევროპული ქსელი და აკადემიური ცნობის ეროვნული საინფორმაციო ცენტრები - ENIC/NARIC. ევროპული გამოცდილების მქონე პერსონალის მნიშვნელობიდან გამომდინარე, უნივერსიტეტებს სურვილი აქვთ გაუქმდეს მოქალაქეობის მოთხოვნები და სხვა წინააღმდეგობები ევროპაში აკადემიური კარიერის გასაკეთებლად. ცხადია, ასევე საჭიროა ერთიანი ევროპული მიდგომა ვირტუალური მობილობისა და ტრანსნაციონალური განათლებისადმი.

თავსებადი კვალიფიკაციები დიპლომამდელ და დიპლომის შემდგომ საფეხურებზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მხარს უჭერენ თავსებადი კვალიფიკაციის სტრუქტურას, დაფუძნებულს დიპლომამდელი და დიპლომის შემდგომი სწავლების საფეხურებზე. საყოველთაოდ მიღებულია, რომ პირველი აკადემიური ხარისხისათვის საჭიროა 180 ან 240 (კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის - ECTS) ქულა, მაგრამ საჭიროა არსებობდეს სხვაობა იმისდა მიხედვით, თუ რისთვისაა განკუთვნილი ეს კრედიტები - დასაქმებისა თუ სწავლის გასაგრძელებლად დიპლომის შემდგომ დონეზე. გარკვეულ პირობებში უნივერსიტეტმა შეიძლება გადაწყვიტოს ისეთი ინტეგრირებული კურიკულუმის შემუშავება, რომელიც პირდაპირ მაგისტრის ხარისხის მიღებით მთავრდება. შესაბამისმა საგნობრივმა ქსელებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშონ ამგვარი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში. უნივერსიტეტები დარწმუნებულნი არიან კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის უპირატესობასა და თავიანთ ძირითად უფლებაში გადაწყვიტონ სხვა სასწავლებელში დაგროვებული კრედიტების მიღება.

მიმზიდველობა

ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სურვილია ნიჭიერი ხალხის მოზიდვა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს მოითხოვს რიგი ქმედებების განხორციელებას ინსტიტუციურ, ეროვნულ და ევროპულ დონეზე. სპეციფიური ზომები მოიცავენ კურიკულუმის ადაპტაციას, ევროპასა და მის გარეთ მისაღებ აკადემიურ ხარისხებს, ხარისხის უზრუნველყოფის საიმედო კრიტერიუმებს, პროგრამებს, რომლებიც ისწავლება მსოფლიოში გავრცელებულ ძირითად ენებზე, შესაბამის ინფორმაციასა და მარკეტინგს, უცხოელი სტუდენტებისა და მეცნიერების შესაბამის მომსახურებას და სტრატეგიული ქსელების შექმნას. წარმატება, ასევე, დამოკიდებულია იმიგრაციისა და შრომის ბაზრის ამკრძალავი რეგულაციების სწრაფ მოხსნაზე.

ევროპის საგანმანათლებლო დაწესებულებები აღიარებენ, რომ მათ სტუდენტებს სჭირდებათ და მოითხოვენ ისეთ კვალიფიკაციებს, რომელსაც ისინი ეფექტურად გამოიყენებენ, როგორც სწავლის გასაგრძელებლად, ასევე კარიერისათვის მთელ ევროპაში. ამასთან დაკავშირებით, სასწავლებლები, მათი ქსელები და ორგანიზაციები აღიარებენ რა თავიანთ როლსა და პასუხისმგებლობას, ადასტურებენ მზადყოფნას ავტონომიის ფარგლებში მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების სათანადო ორგანიზება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მოუწოდებენ მთავრობებს, ეროვნულ და ევროპულ კონტექსტში, დააჩქარონ და ხელი შეუწყონ ცვლილებებს და უზრუნველყონ კოორდინაციისა და დაახლოებისათვის აუცილებელი გარემოს ჩამოყალიბება. ისინი ასევე ადასტურებენ თავიანთ

შესაძლებლობასა და მზადყოფნას ერთობლივი მცდელობებით განახორციელონ განვითარების ინიცირება და მხარდაჭრა:

- ჩამოაყალიბონ უმაღლესი განათლებისა და კვლევის ახალი განსაზღვრებები მთელი ევროპისათვის;
- მოახდინონ კურიკულუმებისა და უმაღლესი განათლების სრული რეფორმირება და განახლება;
- განავითარონ სამეცნიერო კვლევაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლება;
- შეიმუშავონ ხარისხის შეფასების, უზრუნველყოფისა და სერტიფიცირების ურთიერთმისაღები მექანიზმები;
- ევროპული განზომილების საერთო მნიშვნელზე დაყრდნობით, უზრუნველყონ განსხვავებულ დაწესებულებებს, კურიკულუმებსა და აკადემიურ ხარისხებს შორის თავსებადობა;
- ხელი შეუწყონ სტუდენტებისა და პერსონალის მობილობასა და კურსდამთავრებულთა დასაქმებას;
- მხარი დაუჭირონ უნივერსიტეტების მოდერნიზაციას იმ ქვეყნებში, სადაც უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისათვის ყველაზე მეტი პრობლემები შეინიშნება;
- დაძლიონ წინააღმდეგობები, რათა გახდნენ ღია, მიმზიდველნი და კონკურენტუნარიანი ქვეყნის შიგნით, ევროპასა და მთელ მსოფლიოში;
- განიხილონ უმაღლესი განათლება, როგორც უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა.